## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბრძანება №01-02/143

ქ. ბათუმი 09 ნოემბერი, 2020 წ

**ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2020 წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციისა და 2020-2021 სასწავლო წლის ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის N141 დადგენილების,** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირველი სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2016 წლის 27 მაისის N32 დადგენილების,** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 6 ივლისის N40 დადგენილების,** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N101დადგენილების,** ,,ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული უცხოელებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის N9 დადგენილების,** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 11 ოქტომბრის**

(ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილების, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2020 წლის 1 ნოემბრის N055012 მოხსენებითი ბარათის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2020 წლის 4 ნოემბრის MES 1 20 0001066173 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე (ე.წ. შვიდ ნაკადად ჩარიცხულ) სტუდენტთა მიერ **2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია** (რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მონაწილეობის მზაობის დადასტურებას) **განხორციელდეს არაუგვიანეს 2020 წლის 20 ნოემბრისა,** ელექტრონულად (ბსუ-ს ოფიციალურ ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსებული ველის ,,სიახლეები" მეშვეობით).
2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე **I, III, IV და VII ნაკადებზე ჩარიცხულ** (საშემოდგომო ნაკადები) სტუდენტთა მიერ, გარდა აკადემიური რეგისტრაციისა, უნდა განხორციელდეს **2020-2021 სასწავლო წლის ადმინისტრაციული რეგისტრაცია/სწავლის საფასურის - 3 300 აშშ დოლარის ბსუ-ს ანგარიშზე გადახდა,** რაც დაადასტურებს ამ სასწავლო წლის სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის მათ მზაობას.

2. სტუდენტებს განემარტოთ, რომ ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სწავლის საფასურის გადახდის წესის (შემდეგში ,,სწავლის საფასურის გადახდის წესი") თანახმად, **სტუდენტს შეუჩერდება** სტატუსი, თუკი დადგენილ ვადაში **არ გაივლის აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.** ,,სწავლის საფასურის გადახდის წესის" **მიხედვით:**

ა) **სტუდენტს შეუჩერდება** ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი <u>და **არ დაერიცხება**</u> შესაბამისი სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), თუკი 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე - 2020 წლის 26 ოქტომბერი, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში პირადი განცხადებით მოითხოვდა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას ან ამავე ვადაში არ გაივლიდა აკადემიურ რეგისტრაციას.

ბ) **სტუდენტს შეუჩერდება** ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მაგრამ <u>**დაერიცხება**</u> შესაბამისი სასწავლო წლის საფასური (დავალიანება), **თუკი** დადგენილ ვადებში

**N113 დადგენილების,** ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის (ინდოეთის მოქალაქეების ე.წ. მე-7 ნაკადის) 2018-2019 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის N01-08/174 ბრძანების,** ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019-2020 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №06-01/109 დადგენილების** (ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2019 წლის 5 დეკემბრის №06-01/138** დადგენილების), ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/60 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2016-2019 წლებში გამოცემული ბრძანებების მათ შორის: ა) პირველ ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/8, 12.01.2016; N01-09/37, 11.02.2016 და N01-09/272, 15.04.2016 ბრძანებებით; **ბ) მე-2 ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/320, 23.05.2016; N01-09/321, 23.05.2016; N01-09/322, 25.05.2016; N01-09/371, 04.07.2016 ბრძანებებით; **გ) მე-3 ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/939 30.12. 2016, N01-09/11 18.01. 2017, N01-09/35 08.02. 2017 და N01-09/59 17.02 2017 ბრძანებებით; **დ) მე-4 ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/710 11.10. 2017წ, N01-09/784 30.10. 2017 წ, N1-09/795 01.11. 2017 წ, N1-09/796 01.11. 2017წ ბრძანებებით; **ე) მე-5 ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/42, 08.02.2018; N01-09/61, 15.02.2018 ბრძანებებით; **ვ) მე-6 ნაკადზე ჩარიცხულები:** ბსუ-ს რექტორის N01-09/44, 09.02.2018; N01-09/217, 13.03.2017; N01-09/253, 04.04.2018; N01-09/268, 18.04.2018; N01-09/352, 30.05.2018 ბრძანებებით; **ზ) მე-7 ნაკადზე ჩარიცხულები:** №01-09/451. 04.09.2018 წ, №01-09/474, 17.09.2018 წ, №01-09/493. 20.09.2018წ, №01-09/515. 27.09.2018 წ. , №01-09/522,28.09.2018 წ, №01-01/556,04.10.2018 წ, №01-09/561, 05.10.2018 წ, №01-09/608, 10.10.2018 წ, -№01-09/709,22.10.2018წ, №01.09/726 29.10.2018წ, №01.09/758,08.11.2018 წ, №01-09/774, 20.11.2018 წ, №01-09/788,27.11.2018 წ, №01-09/814, 18.12.2018 წ, № 01-09/821, 25.12.2018 წ, № 01-08/16, 31.01.2019 წ, № 01-08/25, 15.02. 2019 წ, № 01-08/87,14.03.2019 წ. ბრძანებებით, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან

გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ არ გადაიხდის შესაბამისი სასწავლო წლის საფასურს სრულად (არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას).

3. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანების შესაბამისად აკადემიური რეგისტრაციისათვის შექმნილი ელექტრონული ბმულის შესახებ ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამის ყველა სტუდენტის ინფორმირება, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით (სტუდენტთა საჯარო ინფორმირება);
ბ) ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტთა მიერ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის **აკადემიური რეგისტრაციის** შედეგების შესახებ მონაცემების შეგროვება და წარმოდგენა (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურის ვიზირებით);
გ) ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტთა მიერ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** შედეგების შესახებ მონაცემების შეგროვება და წარმოდგენა (საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე);
დ) სასწავლო პროცესის ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის ღონისძიებებთან, ასევე სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის მონაცემების გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა (სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე).

4. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურმა, ერთობლივად, უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული, ბსუ-ს სტუდენტთა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის გავლისათვის შესაბამისი პლატფორმის შექმნა და ბსუ-ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსება.
5. წინამდებარე ბრძანებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ სტუდენტთა ეფექტური ინფორმირების მიზნით არაუგვიანეს 2020 წლის 12 ნოემბრისა **ითარგმნოს ინგლისურ ენაზე** და სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციისათვის ბსუ-ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე განსათავსებელი ელექტრონული ბმულის მეშვეობით ეცნობოს სტუდენტებს:

ა) წინამდებარე ბრძანება (სათაური და სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-2, მე-8 და მე-9 პუნქტები);

ბ) ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილება;
გ) ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილება (კოდიფიცირებული);

6. ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალოს წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე თარგმნისათვის: ა) ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/47 გადაწყვეტილება(კოდიფიცირებული) და ბ) 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციისათვის შესაქმნელ ელექტრონულ ბმულზე სტუდენტებისათვის განსათავსებელი ინფორმაციის (ტექსტი) სარეკომენდაციო შინაარსი.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
9. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში